



სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებულ ქმედებაზე ან/და ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებზე ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი უნდა მოიცავდეს ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი; ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობას და მისამართს; იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება; გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელებას; მოთხოვნას; გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა; ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.